ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №27

2015 წლის 20 მარტი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელზე შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება“-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით ქონების გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება“-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით, მოვლა-პატრონობის მიზნით ქობულეთი, პოპოვის ქუჩა №7-ში მდებარე 17967.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული 1645.3 კვ.მ საერთო ფართის შენობა-ნაგებობების (ს/კ №20.42.10.472) გადაცემაზე.

2.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ს.ოქროპირიძე**